შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია

2025

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის** (შემდგომში -კოლეჯი) სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია (შემდგომში- მეთოდოლოგია) განსაზღვრავს მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცების/ცვლილების და შესრულების მონიტორინგის წესებს.
2. მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი) მიერ, რომლის სამუშაო შეხვედრებში ასევე შესაძლებელია ჩართული იყოს პროფესიული განათლების მასწავლებლები, კოლეჯის ნებისმიერი თანამშრომელი, დამსაქმებლების წარმომადგენლები, კოლეჯის კურსდამთავრებულები და პროფესიული სტუდენტები, პარტნიორი ორგანიზაციები, სოციალური და საერთაშორისო პარტნიორები, კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით სხვა დაინტერესებული პირები (შემდგომში - დაინტერესებული მხარეები).
3. დაინტერესებული მხარეების მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სამუშაო შეხვედრებზე ფიზიკური დასწრებით ან ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, ასევე შემუშავებული პროექტის გაზიარებით ელექტრონული ფოსტის ან რეკომენდაციებისთვის გასაჯაროებით (კოლეჯის საიტზე ან/და კოლეჯის სივრცეში).
4. მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესს ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორი.
5. მისიის, ხედვის და ღირებულებების დამტკიცება სავალდებულო არაა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცება ხდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.
6. მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები საჯაროა და ქვეყნდება კოლეჯის ვებგვერდზე.
7. კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშები საჯაროა და ქვეყნდება კოლეჯის ვებგვერდზე.

მუხლი 2. მისია, ხედვა, ღირებულებები

1. კოლეჯის საქმიანობის დაგეგმვა იწყება მისი მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბებით, სადაც განსაზღვრულ უნდა იქნას კოლეჯის წარმატება ხანგრძლივ პერსპექტივაში და მიდგომები როგორ ხდება მისი მიღწევა.
2. მისია - არის კოლეჯის განაცხადი იმის თაობაზე, თუ რა მიდგომით აპირებს ის სასურველი სამომავლო სურათის/ხედვის მიღწევას. მისია უნდა იყოს მოკლე, გასაგები, მამოტივირებელი, ორგანიზაციული ღირებულებების ამსახველი და საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე ორიენტირებული.
3. ხედვა - არის ის სასურველი სამომავლო მდგომარეობა, რომელსაც უნდა მიაღწიოს კოლეჯმა გარკვეული დროის შემდეგ.
4. ღირებულებები - ღირებულებებში გაზიარებული უნდა იქნას ის ძირითადი პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც გეგმავს კოლეჯი მისიაში გაცხადებული მიზნების მიღწევას.
5. კოლეჯის საქმიანობის დაგეგმვა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებით იწყება, რათა განსაზღვრულ იქნას თუ როგორ ხედავს კოლეჯი საკუთარ წარმატებას ხანგრძლივ პერსპექტივაში და რა მიდგომით აპირებს ამ შედეგამდე მისვლას.
6. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული უნდა იქნას ყველა დაინტერესებული მხარისათვის.
7. პროფესიული განათლების მიზნებიდან გამომდინარე, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების, სიახლეების, ასევე, პროფესიული სტანდარტებისა და კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს მისიის/ხედვის/ღირებულებების პროექტს, რაზედაც დგება შესაბამისი ოქმი.
7. შეთანხმებული და გაზიარებული მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება კოლეჯის ვებ-გვერდზე და დაწესებულების შენობაში თვალსაჩინო ადგილზე. მისიის საჯაროობისათვის იგი ასევე განთავსდება კატალოგში ან/და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში. კოლეჯის თანამშრომლებს შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები, გაზიარების მიზნით, დაეგზავნებათ საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის eflow-ს ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ხოლო სხვა დაინტერესებულ პირებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
8. სამ წელიწადში ერთხელ, კოლეჯი არსებული მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების მიზნით,

გადახედავს მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელებს ცვლილებებს.

მუხლი 3. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები

1. შემუშავებული ხედვა და მისია საფუძვლად უნდა ედოს კოლეჯის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს.
2. სტრატეგიული გეგმა უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიაში გაცხადებულ მიზნებს და იყოს ორიენტირებული მათ შესრულებაზე. სტრატეგიული გეგმა უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3-5 მსხვილი მიზნისაგან და ითვალისწინებდეს იმ ინდიკატორებს, რომელთა საშუალებითაც მოხდება მასში მოცემული მიზნების მიღწევის ხარისხის შეფასება.
3. კოლეჯის სტრატეგიული გეგმა უნდა გამომდინარეობდეს დაწესებულების ხედვიდან, აზუსტებდეს მას კონკრეტული მიზნებით, ხოლო სამოქმედო გეგმა - სტრატეგიიდან: შლიდეს სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილ მიზნებს უფრო მცირე და შედარებით ადვილად მართვად კომპონენტებად. ამასთან, ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმის შედგენისას გასათვალისწინებელია ქვეყნის/რეგიონის პრიორიტეტები და დაინტერესებული მხარეების მოლოდინი.
4. სტრატეგიულ გეგმას შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი, კოლეჯის თანამშრომლების ჩართულობით, რათა ყველას ჰქონდეს საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობა და საბოლოო პროდუქტის მიმართ საკუთრების განცდა.
5. კოლეჯის ხედვასთან მიახლოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიული მიზანი იყოს:

• კონკრეტული - მკაფიოდ უნდა გვაჩვენებდეს, რას გულისხმობს მიზანი. საკუთარ თავში არ უნდა შეიცავდეს ზოგად, ინტერპრეტაციისათვის სივრცის მომცემ ტერმინებს;
• გაზომვადი - იძლეოდეს მისი მიღწევის კუთხით არსებული პროგრესის ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას;
• მიღწევადი - თუ სტრატეგიული მიზანი არ არის მიღწევადი, იგი შეუძლებელს გახდის ორგანიზაციის ხედვასთან დაახლოებას;
• რელევანტური - გამომდინარეობდეს კოლეჯის ხედვიდან, უკავშირდებოდეს მას და მივყავდეთ მის რეალიზაციამდე;
• დროში გაწერილი - ანუ მიგვითითებდეს, თუ როდის, რა ვადაში არის მისი შესრულება აუცილებელი, რაც დაეხმარება კოლეჯს კონკრეტულ ვადაზე გათვლილი ხედვის რეალიზებაში;

6. კოლეჯის ფუნქციონირებისთვის, ყველა ასპექტის გათვალისწინებით, სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას, სამუშაო ჯგუფის მიერ განხილული უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:
- ინსტიტუციური განვითარება;
- ხარისხის შიდა სისტემის განვითარება;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარება;
- სამეწარმეო და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება;
- სწავლა/სწავლების ინტერნაციონალიზაციის განვითარება;
- სტუდენტური სერვისების დანერგვა-განვითარება;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა;
- ადამიანური და მატერიალური რესურსების განვითარება;
- ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა.

7. სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად უნდა განხორციელდეს კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი (SWOT ანალიზი);
8. სტრატეგიული განვითარების გეგმა დგება 7 წლიან პერიოდზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს.
9. სტრატეგიულ გეგმაში უნდა განისაზღვროს კოლეჯის სტრატეგიული მიზნები, რომლის შესაბამისად განისაზღვრება ამოცანები, განხორციელების ვადები და შესრულების ინდიკატორები.
10. სტრატეგიული გეგმის შემუშავება ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ, მოქმედი სტრატეგიის გეგმით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე არანაკლებ 2 თვით ადრე;
11. სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს სტრატეგიული გეგმის საფუძველზე და უნდა ემსახურებოდეს მის მიღწევას.
12. სამოქმედო გეგმა მუშავდება კალენდარული წლის დასაწყისში, სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით, 1

წლიან პერიოდზე.
13. სამოქმედო გეგმაში განისაზღვრება ამოცანები, მიზნის მიღწევის ინდიკატორი, რისკები, შესრულების მტკიცებულებები, რესურსები (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური), საანგარიშო პერიოდი, პასუხისმგებელი პირები, შემსრულებელი პირები და შენიშვნის ველი.
14. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს კოლეჯის ფინანსური რესურსის გათვალისწინებით.

მუხლი 4. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და ცვლილების წესი

1. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგისა და გაუმჯობესების მიზნით სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ტარდება წელიწადში ერთხელ, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე.
2. სტრატეგიული გეგმის გადახედვა/გაუმჯობესება შეიძლება მოხდეს სხვა ნებისმიერ დროს, ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში სამუშაო ჯგუფის მიერ. ცვლილებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
3. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი წლის განმავლობაში კვარტალში ერთხელ, ამ მიზნით კოლეჯის თანამშრომლებისგან ახდენს ინფორმაციის შეგროვებას და სამოქმედო გეგმის ყოველი აქტივობის ფარგლებში შესრულებულ საქმიანობას აღწერს და თითოეულ აქტივობას, შესრულების დონის მიხედვით, შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სტატუსი:
1. არ დაწყებულა
2. მიმდინარე – ნაწილობრივ განხორციელდა
3. მიმდინარე – მეტწილად განხორციელდა
4. განხორციელდა
5. განხორციელდა დაგვიანებით
6. გაუქმებულია
7. შეჩერებულია
4. საჭიროების შემთხვევაში სამოქმედო გეგმის მონიტორინგს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი განახორციელებს სხვა პერიოდულობით.
5. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი მონიტორინგის შედეგებს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
6. მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს ახორციელებს კოლეჯის დირექტორი.
7. ანალიზის შედეგებს კოლეჯის დირექტორი აცნობს თანამშრომლებს და დაინტერესებულ მხარეებს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შესაბამისი ზომების მიღება.

მუხლი 5. დასკვნითი დებულება

1. მეთოდოლოგია დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ;
2. მეთოდოლოგიაში ცვლილების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების შესაბამისად.